პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 მაისი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 96 (9763) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ფოტო, რომელიც მატიანეში შევა

## „ოქროს დუეტი“



ეს სურათი ამას წინათ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტულ კომპლექსში გადავიღეთ. რუსუდან ხოფერიას (მწვრთნელები თენგიზ ხუდოევი და ზაურ სულაშვილი) გვერდში უდგას ნიკოლაეველი ბატუტზე მხტომელი ელენა კოლომეეცი. თითქოს გულმა გვიგრძნო, რომ სულ ოციოდე დღის შემდეგ ეს გოგონები სინქრონულ ხტომებში მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლებს მოიპოვებდნენ. (დაწვრილებით ამ წარმატების შესახებ „ლელოს“ გუშინდელ ნომერში ვიუწყებოდით).

ჯემალ კახრაძის ტექსტი და ფოტო.

გამოხმაურება წერილზე: „ფიზკულტურა მისაღებ გამოცდებზე“

## საერთო დაინტერესება, წინადადებები...

● უდიდესი კმაყოფილებით გავეცანით „ლელოს“ 12 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილს „ფიზკულტურა მისაღებ გამოცდებზე“, რომელიც ეხება აბიტურიენტთა ფიზიკური მომზადების შემოწმებას. ეს უდიდესი წამოწყება ძირეულად შეცვლის ახალგაზრდობის და არა მხოლოდ ახალგაზრდობის შეხედულებას ფიზიკურ კულტურაზე.

სპეციალისტების მიერ შედგენილ და შემოთავაზებულ ფიზიკური მომზადების დონის განმსაზღვრელი ნორმატივების ვარიანტებს ძირითადად ვეთანხმებით, მაგრამ თავს უფლებას ვაძლევთ ამ სიახლის ირგვლივ ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვათ.

ამ ეტაპზე, მხედველობაში გვაქვს მიმდინარე წლის მისაღები გამოცდები, **უმჯობესია აბიტურიენტებს მიეცეთ ჩათვლები ფიზიკურ მომზადებაში.** შემდგომში რამდენად მიზანშეწონილი იქნება გამოცდების ჩატარება, ამას მომავალი გვიჩვენებს.

**ნორმატივების ჩაბარება უმჯობესია გამოცდების დაწყების წინ მოეწყოს.**

შემუშავებული ნორმატივების სამივე ვარიანტის შეთავაზება აბიტურიენტისთვის, ვფიქრობთ, ერთობ გაართულებს მიმღები კომისიის მუშაობას. ჩვენი აზრით, ყველაზე ოპტიმალურია პირველი ვარიანტი როგორც ქალების, ისე ვაჟებისთვის (კარგი იქნება, თუ შემდგომ წლებში მას ცურვა დაემატება ამორჩევით, როგორც ერთ-ერთი ნორმატივის შემცვლელი). ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება თუ რბენას დროის გარეშე ნორმატივებიდან ამოვიღებთ. დროის გარეშე რბენამ შეიძლება უთანხმოება გამოიწვიოს ჩამბარებელსა და მიმღები კომისიის წევრებს შორის.

ალბათ უმჯობესია აბიტურიენტები დავყოთ არა სამ, არამედ ორ ასაკობრივ ჯგუფად: 16-29 და 29-35 წელი. ეს უფრო გააადვილებს მიმღები კომისიის მუშაობას, აბიტურიენტებისთვის კი არსებითად არაფერი შეიცვლება.

ფიზიკური აღზრდის სპეციალისტების მიერ სრულიად სწორად არის შემოთავაზებული ნორმატივი გოგონებისთვის. 100 მეტრზე რბენაში — 17,0 წამი — მაგრამ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ამ შედეგს პირველკურსელ გოგონათა მხოლოდ 5-10 პროცენტი უჩვენებს. შემოთავაზებულმა ნორმატივმა შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ბევრი თეორიულად კარგად მომზადებული გოგონა ჩათვლის გარეშე დარჩება.

**ამიტომ წინადადება შემოგვაქვს, რომ გოგონებისთვის ნორმატივი 100 მეტრზე რბენაში იყოს არა 17,0, არამედ 18,0 ან 18,5 წამი.**

ყოველივე ამასთან ერთად კარგი იქნება, თუ სტუდენტს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში ფიზიკურ აღზრდაში დიფერენციალური ჩათვლა დაუწესდებათ. ამის შემდეგ სტუდენტი ფიზიკური აღზრდის დისციპლინის მიმართ მეტ დაინტერესებას გამოიჩენს და აიძულებს მას მეცადინეობის პროცესში მეტი ფიზიკური აქტიურობა გამოიჩინოს.

**გიზო დოლიძე,**
**თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამედიცინო ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე,**

**გოგი გოლაშვილი,**
**ინსტიტუტის სპორტული კლუბის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.**

## ჩვენ ასე ვფიქრობთ

● **ჩემი** აზრით ფიზკულტურაში გამოცდები მისაღებ გამოცდებზე მომავალი წლიდან უნდა შემოვიღოთ (გ. იჩქიტიძე, გაგრა).

● **მე** მხარს ვუჭერ იმათ, ვინც მოითხოვს, რომ გამოცდები ფიზკულტურაში წელსვე ჩატარდეს (მ. კირვალიძე, საგარეჯო).

● **ალბათ**. სწორი იქნება თუ წელს ფიზკულტურის ნიშანს უპირატესობას მივანიჭებთ თანაბარქულებიდან ჩასარიცხთა შერჩევის დროს (მ. ფაცაცია, ზუგდიდი).

● **კომისია** დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს მუშაობას სპორტულ ბაზებზე, ალბათ უმჯობესია ნორმატივები ახლავე ჩააბარონ. დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებმა და საბუთების შეტანისას წარადგინონ შესაბამისი ცნობა (ს. კავილაძე, თბილისი).

## გავითვალისწინოთ

● **დაფიქრებულხართ** რამდენი მსურველი მიაწყდება სპორტულ ბაზებს? გვაქვს კი მათი მიღებისა და მომსახურების შესაძლებლობები? (გ. მირიანაშვილი, რუსთავი).

● **ახლავე** იზრუნეთ, რომ სპორტულ მაღაზიებში იყოს საჭირო ზომების სპორტული ფეხსაცმელი და ჩასაცმელი, თორემ ეს პრობლემაც უთუოდ იჩენს თავს. წელსაც ხომ ათი ათასობით აბიტურიენტი მიაკითხავს უმაღლეს სასწავლებელს (ნ. კვირკველია, თბილისი).

● **მშობლებში** ერთგვარი შიში გამოიწვია ფიზკულტურაში აბიტურიენტთა ფიზიკური მომზადებულობის შემოწმების შემოღების წინადადებამ. საგანგაშო არაფერია, რატომ უნდა გვეშინოდეს, რომ 17 წლის ყმაწვილი, ვთქვათ, 100 მეტრზე ვერ გაიქცევა? საგანგაშო და სავალალო ის უნდა იყოს, აბიტურიენტმა მართლა რომ ვერ ჩააბაროს ძალიან მარტივი ნორმატივები. (ვ. მაღლაკელიძე, ქუთაისი).

## ს. ტერელაძე მიზანთან ახლოსაა

მოსკოვში მიმდინარე 16 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობის საგზურის პრეტენდენტთა საჭადრაკო მატჩში სოფიკო ტერელაძესა და იულია ლევიტანს შორის გუშინ გათამაშდა მეოთხე პარტია, სადაც თეთრი ფიგურებით ქართველი ოსტატი თამაშობდა. ტერელაძე დებიუტშივე დაეუფლა ინიციატივას. მან მიტელშპილში მეტოქეს პაიკი შესწირა და საკმაოდ ლამაზი გამარჯვება მოიპოვა.

ამრიგად, 4 პარტიის შემდეგ ანგარიშია 2,5:1,5 ქართველი ოსტატის სასარგებლოდ.

დღეს გათამაშდება V პარტია, რომელშიც სოფიკო ტერელაძეს ყაიმიც ჰყოფნის საგზურის მოსაპოვებლად.

**ბექან ჩხაიძე.**
(მოსკოვი, ტელეფონით).

**ყურადღება!**

რესპუბლიკური უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული ვაჟკაცთა ჭიდაობის შეჯიბრება 18-22 მაისს ჩატარდება ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში (კონსტიტუციის, 6) 10 საათიდან და სპი-ს დარბაზში (ლენინის, 77) 16 საათიდან.

## არაფერი შეცვლილა

**მშვიდობის** ველორბოლის მეშვიდე ეტაპს ლიდერთა მდგომარეობა არ შეუცვლია. პოლონეთის ტერიტორიაზე გაჭიმული 189 კილომეტრიანი ტრასა ნოვი-ტარგიდან კატოვიცემდე ყველაზე სწრაფად ჰოლანდიელმა რობ ჰარმელინგმა გაიარა — 4:38.43. მაგრამ ეს ის შემთხვევა გახლდათ, როცა ლიდერები შეგნებულად ტოვებენ უყურადღებოდ დაწინაურების მცდელობას. გდრ-ისა და საბჭოთა კავშირის ველოსიპედისტები ამჯერადაც ერთმანეთის „მეურვეობით“ იყვნენ გართული და სხვა ქვეყნების წარმომადგენელთაგან შემდგარ მცირერიცხოვან ჯგუფს დაწინაურების საშუალება მისცეს. ფინიშზე მეორე იტალიელი რობერტო პელიკონი იყო, მესამე — კუბელი ოსმანი ალვარესი.

პირველ ხუთეულში მოხვდნენ, აგრეთვე, დავით ასუნსაო (პორტუგალია) და პატრიკ მოსტერი (გფრ). ამ ხუთეულს ძირითადი ჯგუფი 1 წუთითა და 37 წამით ჩამორჩა.

პირად ჩათვლაში ლიდერობას უვე ამპლერი (გდრ) ინარჩუნებს, მას 23 წამით ჩამორჩება ვლადიმერ პულნიკოვი და 35 წამით — პიოტრ უგრიუმოვი (ორივე — სსრ კავშირი). გუნდურ ჩათვლაში წინაა სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც გდრ-ის ველოსიპედისტთა კოლექტივს 53 წამს უგებს, პოლონეთის გუნდს კი 4 წუთსა და 6 წამს.



„ჯანმრთელობის საათი“ სკოლაში! ამ ღონისძიებამ უნდა გამოაცოცხლოს სასკოლო ფიზკულტურა, თავისი წვლილი შეიტანოს მოსწავლეთა ფიზიკური აქტივობის ამაღლებაში. ქუთაისის მე-6 საშუალო სკოლა ის სასწავლებელია, რომლის გამოცდილება განზოგადებას იმსახურებს (წერილი ამ სკოლის შესახებ იხ. მე-2 გვერდზე).

რუბრიკის პრემიერა

## ყველას ხომ ერთი გადია გვყავდა...

ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო, უთქვამს მწერალს. თუკი ასეა, ყველანი ჩვენი ბავშვობისდროინდელი თამაშებიდანაც მოვდივართ. ხომ გახსოვთ: გამოვიხურავდით სახლის კარს და თამაშის ჯადო ათას ბავშვურ საფიქრალს გვავიწყებდა. ჯერ ეზო-ქუჩები იყო ჩვენი სარბიელი. უფრო ხშირად, რა თქმა უნდა, ბურთს დავდევდით. ცხადია, არც სხვა გასართობს ვიკლებდით. „ათასი ბავშვური საფიქრალი“ არ გაგიკვირდეთ — ეს ახლა, დიდობაში ვიცოდებთ თავს სტრესებით, მაგრამ განა ბავშვობაში არ გვახსოვს წყენა? დიახ, თამაში მაშინ ჩვენი თავშესაფარიც იყო, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა იგი სიხარულს, სიხალისეს, ტოლამხანაგს გვიმრავლებდა. ერთი სიტყვით, ბავშვური თამაში, დიდი სპორტის ეს ანკარა თავწყარო, ჩვენი გადია იყო. პირველი სპორტული ნაბიჯები მან გადაგვადგმევინა და არც მერე მივუტოვებივართ, როცა სპორტული სექციების ზღურბლს გადავაბიჯეთ. აქ კი ამა თუ იმ სახეობის ანბანთან ერთად ხასიათის წრთობას, გულადობას, მეგობრობას, სამართლიანობას გვაზიარებდა და გვასწავლიდა, დიდი ცხოვრებისთვის გვამზადებდა. ჩვენი სიმდიდრე ჩვენი მოგონებებიაო, ამბობენ. ის, ვინც სიჭაბუკეში სპორტის სიკეთეს ეზიარა და მერე პროფესიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოიჩინა თავი, დაგვეთანხმება: მეხსიერების საგანძურის ყველაზე ხალასი ნაწილი სპორტს უკავშირდება. სპორტი რომ არა, ამ ადამიანების ცხოვრებაში ბევრი რამ იქნებ სხვანაირად ყოფილიყო — სიმართლე თუ გინდათ, განა ბოლომდე ვაცნობიერებთ რამდენი შეგვძინა და გვასწავლა სპორტმა? ამიტომაა, რომ ვალში ვართ მასთან; ამიტომაა, რომ ახე ვემადლიერებით მას. (იხ. მე-2 გვ.)

**თამაზ მიგრიაული.**

**20 მაისს** საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში (აკ. წერეთლის გამზირი 95-ა) დილის 10 საათზე გაიხსნება კონსტანტინე ზაუტაშვილის სახელობის რესპუბლიკური ცენტრალური ათლეტური კლუბის „ამირანის“ და საქართველოს პროფკავშირთა ათლეტიზმის ფედერაციის დამფუძნებელი პლენუმი.

**პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სიმღერისა არ იყოს, შენობასაც თავისი დრო ჰქონია — თითოეულ მათგანს ჩვენამდე მოაქვს ინფორმაცია წარსულის შესახებ, ამიტომ, ნაცნობ სახლს რომ ჩაუვლი, თვალწინ დაგიდგება გარდასულ დღეთა სურათები. მაგალითად, როცა ქართველ მოკრივეთა ომამდელი თაობის რომელიმე წარმომადგენელი რუსთაველზე ან ჯორჯიაშვილის ქუჩაზე გაივლის, თვალი გაექცევა სასტუმრო „თბილისის“ ზანისაკენ, სადაც ერთ დროს კრივის ღია სარბიელი იყო და იქ დიდი გატაცებით ეუფლებოდნენ ამ ვაჟკაცურ სახეობას.**



# შენობას ახსოვს...

**ომის** შემდგომ მოკრივეთა ერთგვარ ციტადელად იქცა პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე ახლანდელი იუსტიციის რესპუბლიკური სამინისტროს შენობა. ადრე იქ სასტუმრო იყო, რომელსაც ჯერ „ევროპა“, შემდეგ კი „რუსთავი“ ერქვა.

მოკრივეებს იქ არასოდეს უვარჯიშიათ, მაგრამ შეჯიბრებისწინა მოსამზადებელი შეკრებები ღამისთევითა და კვებით ნიადაგ იქ იმართებოდა. მის კედლებს ახსოვს რინგის ისეთი ოსტატები, როგორებიც იყვნენ ძმები დარბაისლები, ფრიდონ ლომიძე, თენგიზ გუჯაბიძე, ნოგენ თორთლაძე, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ჯუმბერ კვანტალიანი, გიორგი ქველიძე. თათეოზ მიქაელიანი და ბევრი სხვა. ისინი იქვე, სასტუმროს გვერდით, პიონერთა პარკში დილის ვარჯიშზე გამოდიოდნენ, საღამოს კი მტკვარგაღმა სანაპიროზე მდებარე ხის დარბაზს მიაშურებდნენ ხოლმე სპარინგებისათვის. თუნდაც ამ მხრივ იყო გამართლებული მოკრივეთა შეკრება ამ სასტუმროში.

იმ წარსული დღეების, უფრო ზუსტად მოკრივეთა იმ თაობის გახსენებით დაიწყო ჩვენი საუბარი შენობის ახლანდელ „მფლობელთან“, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრ ვიქტორ შარაშენიძესთან. ამან ყოველგვარი ოფიციალურობა, ჩვეულებრივ თან რომ სდევს ხოლმე ასეთი რანგის ინტერვიუს, წაშალა და გააქრო. საქმე ის არის, რომ ვიქტორ შარაშენიძეც ყოფილი მოკრივეა, რამაც ორივეს გზა გაგვიხსნა უაღრესად გულახდილი საუბრისაკენ.

— მართალია, — თქვა ვ. შარაშენიძემ, — ჩემს თაობას ისეთი რანგის მოკრივე, როგორიც ევროპის ჩემპიონი დავით კვაჭაძეა, არ ჰყოლია, რომ მისთვის მიგვებაძა. სპორტის პოპულარობას ხომ უმთავრესად ჩემპიონები განაპირობებენ, მაგრამ ბევრი რამ გვქონდა გაგონილი რინგის ცნობილ ოსტატებზე — შალვა გორგასლიძეზე, გაბო ხანუკაშვილზე, ანდრო ნავასარდოვზე, ლევან ლუდუშაურზე, რომელთა მიბაძვა ღირდა. უშუალოდ ჩემი წინა თაობა კი ძმები დარბაისლები, გივი მუხაძე; ლევან ანდღულაძე, ფრიდონ ლომიძე, ნოგენ თორთლაძე იყვნენ. ამ მოკრივეებმაც შესამჩნევი კვალი დატოვეს რინგზე.

● **ვინ იყო თქვენი პირველი მწვრთნელი?**

— სამწუხაროდ, დღეს ბევრმა არ იცის, რომ იყო ახალგაზრდობისათვის უსაყვარლესი და ძალზე გულისხმიერი ადამიანი ბორის კალაძე. ეს იყო თავისი საქმის უზომოდ მოყვარული, თავდადებული მწვრთნელი, რომლის უტყუარ ალღოსაც ბევრი აღიარებული სპეციალისტი გაუკვირვებია. თითოეული მოწაფის ყველა თვისებას ითვალისწინებდა და ისე წარმართავდა მასთან მეცადინეობას. საკვირველია, ისე წავიდა ეს კაცი ამ ცხოვრებიდან, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის წოდებაც კი არ აღირსეს. არადა, მის მიერ აღზრდილ ტყავის ხელთათმნის ოსტატთა სახელები საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდებასაც „მისწვდებოდა“. თავად განსაჯეთ. მის მიერ გამოზრდილ მოკრივეთა სიას ამშვენებს ნოდარ და გივი დარბაისლების, თათეოზ მიქაელიანისა და კიდევ ბევრი გამოჩენილი სპორტსმენის სახელები.

● **მაინც, როგორ წარიმართა თქვენი სპორტული კარიერა?**

—დიდი გამარჯვებებით თავს ვერ მოვიწონებდი. უბრალოდ, ბედნიერ კაცად მიმაჩნდა თავი, რომ ამ ვაჟკაცურ სახეობაში ვიყავი ჩაბმული. კრივი მაშინ იმდენად პოპულარული იყო თბილისში, რომ საქართველოს პირველობებზე სალაროსთან და შესასვლელთან საცხენოსნო მილიცია იცავდა წესრიგს.

წარმოიდგინეთ, იმ საერთო აჟიოტაჟს უკვალოდ არ ჩაუვლია და ახალგაზრდობის ფსიქიკასაც სასიკეთო კვალი დაამჩნია. მაგალითად, თუ ორმოცდაათიანი წლების ჭაბუკობისათვის „ქუჩურ“ ჩხუბს წმინდა ვაჟკაცური ხასიათი ჰქონდა (ვინ ხმარობდა მაშინ ცივ იარაღს), ამაში წვლილი რინგზე მოკრივეთა რაინდულ შერკინებებსაც მიუძღოდა: ვინც ჩხუბში ქვას ან ჯოხს იხმარდა, ის უბანში თავაწეული ველარ გაივლიდა.

ამიტომაც, როგორც იურისტს და როგორც ყოფილ სპორტსმენს მაოცებს, დღევანდელი ახალგაზრდები ასეთი დაუნდობლები რომ არიან ერთმანეთის მიმართ. ნუთუ ყველა ის კარგი ზნე ვიდეომ შთანთქა და წალეკა.

ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე, სადაც მკვლელობის საქმე ირჩეოდა, მოწმეს, რომელსაც დამნაშავე უნდა ემხილებინა, მკვლელის გულშემატკივრები ეცნენ — ფუი შენს ვაჟკაცობასო. ერთი მითხარით, რა ვაჟკაცები არიან თავად, როცა ქათამივით დაკლეს უიარაღო თანატოლი. ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, რამ გამოიწვია დღევანდელ ახალგაზრდობაში „ვაჟკაცობის“ ცნების გაუკუღმართება?

ბევრი დღევანდელ უკეთურობას, რასაც ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი სჩადის, მათი გადაჭარბებული თავმოყვარეობით ხსნის — ეს როგორ მაკადრაო, მაგას როგორ შევარჩენო. მახსენდება ჩვენი დროის აღიარებული „დამრტყმელები“. იტყოდნენ, მჯობნის მჯობნი რამ დალიაო და გამარჯვებულ მეტოქეს ძმურად გადახვევდნენ ხელს.

● **მშობელთა უმეტესობა დღეს მაინცდამაინც დიდი ხალისით არ თანხმდება იმას, რომ ბიჭებმა კრივი ისწავლონ. თქვენ დროსაც ასე იყო?**

— ჩვენს უბანში — ვერელი გახლავართ, — განსაკუთრებით ქუხდა კოკა მუჯირის სახელი. მას კრივშიც წარმატებები ჰქონდა. ალბათ მისმა პოპულარობამ მიმიყვანა ქალაქის ძველ უბანში — ალავერდოვის მოედანზე მდებარე ყოფილ ეკლესიაში, რომელიც „სპარტაკის“ კრივის დარბაზად იყო გადაკეთებული და სექციას ხელმძღვანელობდა ბორის კალაძე. უბნელებში მალე გავითქვი სახელი. თუმცა ჩემიანებმა არაფერი იცოდნენ.

ამ გატაცებას მაშინ აეხადა ფარდა, როცა ბათუმიდან დაბრუნებულს (იქ რესპუბლიკის მოზარდ მოკრივეთა შეჯიბრებაზე გახლდით) შინ მეწვია შეკრების ერთ-ერთი ხელმძღვანელი გიორგი დარახველიძე — უწყისზე ხელი უნდა მომეწერა, თან გამარჯვებულის მედალი და სიგელი მოიტანა. მამაჩემმა ჰკითხა:

— სკოლაში ხშირად მიბარებენ ბიჭის ანცობის გამო და რაღაც არ მეცნობით, რას ასწავლითო. — რომ უთხრა, კრივსო, მამას ნირი წაუხდა. მეზობელმა „ლორთქიამ“ (კინომსახიობი გურამ ლორთქიფანიძე) გამთქვა — შენი ბიჭი ჩემპიონია კრივშიო.

— მაგ ჯილდოს სკოლის მედლები მოგეყოლებინა, ეს მერჩიაო.

ასე გამივარდა უბანში ჩემპიონის სახელი. თავიანთი „ყოჩი“ ჰყავდათ ვაკელებსაც — ირაკლი მელაძე, რომელიც ალექსანდრე გოლდშტეინთან დადიოდა. ისიც 51 კილოგრამს იწონიდა, ორჯერ შევხვდით პირისპირ და თითო გამარჯვება გვაქვს ერთმანეთთან მოპოვებული.

გარდა კრივისა, რაშიც მოზარდთა შორის „სპარტაკის“ საკავშირო ჩემპიონობაც მოვიპოვე და საქალაქო პირველობაც, წარმატებები მქონდა ჰოკით ხტომაში და თბილისის მოსწავლეთა ჩემპიონატში მეორე პრიზიორიც გავხდი. ამის მერე დიდხანს მდია ფიზკულტურის მასწავლებელმა ლადო ავალიანმა გინდა თუ არა, მძლეოსანი უნდა გამოხვიდეო, მაგრამ „ვერ გამტეხა“...

● **ბევრს მიაჩნია, რომ სპორტით გატაცება დროის უქმად ხარჯვაა, რომ სპორტიდან წასვლის შემდეგ კაცს თავიდან უხდება ცხოვრების დაწყება.**

— ასეთ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები, რადგან სწორედ რინგმა შემძინა მობილიზების, მძიმე, ექსტრემალურ სიტუაციაში ძალთა კონცენტრაციისა და, რაც მთავარია, მეგობრობისა და ურთიერთგატანის უნარი.

● **ადამიანის რა თვისება მოგწონთ?**

— ერთგულება, სიკეთე. გულისხმიერება. სწორედ ამ თვისებებით დამამახსოვრდნენ ჩემი შესანიშნავი მასწავლებლები — გივი ინწკირველი, თინათინ წერეთელი, ალექსანდრე მანელაშვილი, ვახტანგ რაზმაძე.

● **ყოფილი სპორტსმენი გულგრილად ვერ უყურებს ჩვენს სპორტულ ცხოვრებას. ვეტერანს გარკვეული მოსაზრებებიც აქვს დიდ სპორტსა თუ ფიზკულტურაზე საერთოდ. თქვენ რას გვეტყოდით?**

— ჩემი აზრით, საერთო წინსვლა იგრძნობა მასობრივი გაჯანსაღების საქმეში, რამაც ძალიან ბევრი ადამიანი გაიყვანა სუფთა ჰაერზე. მაგრამ თუ აკვირდებით, მეტწილად ხანდაზმულები და ღიპიანები დარბიან. სასურველი კი არის, რომ მათ ახალგაზრდებმაც მიჰბაძონ. ამიტომ მათ ცოტა განსხვავებული პირობები უნდა შევუქმნათ, რადგან მარტო ძუნძულით სირბილს ახალგაზრდა, რომელსაც ჯანი და გული ერჩის, არ დაგჯერდება. ამიტომ იმავე კუსა და ლისის ტბებზე, თბილისის ზღვაზე, ბაგებისა და წყნეთის მიდამოებში, მწვანე ზონებში უნდა იყოს სავარჯიშო იარაღები, ამასთან ვარჯიში უფრო მეტად უნდა გახდეს მეცნიერული დაკვირვების საგანი. ამ მხრივ დიდი სარგებლობა მოაქვს დოცენტ დიმიტრი წვერავას კათედრას. და, რაღა თქმა უნდა, სხვებთან ერთად განსაკუთრებით მახარებს ჩვენი სპორტსმენების ბოლოდროინდელი ბრწყინვალე გამარჯვებები.

რაც შეეხება ბავშვების სპორტულ აღზრდას, აქ საქმისადმი სწორი მიდგომაა საჭირო. რატომღაც მწვრთნელები პატარებში თავიდანვე ჩემპიონების აღმოჩენას ცდილობენ, რაც არ არის სწორი. ბავშვში ჩემპიონობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიძინებულია და მის გამოვლენას დრო სჭირდება. ამიტომაც ნორჩთა სპორტული სექცია ფიზიკური განვითარების ფუნქციას უნდა ასრულებდეს და ჩემპიონი თავისთავად მოვა. ჯანმრთელობა უწინარეს ყოვლისა, აი ესაა მთავარი.

● **როგორია თქვენი ყოველდღიური რეჟიმი?**

— გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ — მხოლოდ დილის გამამხნევებელი ვარჯიში და მინისტრის მძიმე სამუშაოთი დატვირთული დღე. მინდა დავუბრუნდე დიმიტრი წვერავას გამაჯანსაღებელ ჯგუფს.

● **და ბოლოს, სიტყვამ მოიტანა და — ადვილია იურისტობა?**

— ისევე, როგორც ფეხბურთელთა მწვრთნელობა — ყველამ იცის ფეხბურთი, ყველამ იცის იურისპრუდენცია!..

**ესაუბრა უშანგ ჭიჭინაძე.**

---

ყველას ხომ ერთი გზა(?)... [illegible]

---

**სასკოლო ფიზკულტურა**

# სიმხნევისთვის, ცოდნისთვის...

**აბიტურიენტებმა** ფიზკულტურაშიც ჩააბარონ გამოცდა! ეს მართლაც უდიდესი მნიშვნელობის სოციალური საკითხია. სამშობლოს ხომ ფიზიკურად ძლიერი, ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდობა სჭირდება.

როგორ უნდა მოვამზადოთ მოზარდები აგრერიგად საჭირო გამოცდებისთვის? ეს შეკითხვა შეიძლება ბევრს სამართლიანად დაებადოს, მაგრამ იქ, სადაც მონდომება და საქმისადმი სიყვარულია, გადაულახავი პრობლემები არ არსებობს.

ამ დღეებში რამდენჯერმე ვეწვიეთ ქუთაისის მე-6 საშუალო სკოლას (დირექტორი ავთანდილ ლომსიანიძე), სადაც ფიზკულტურის გაკვეთილი ყოველ დღე და, რაც მთავარია, ყველა მოსწავლისათვის ტარდება, რადგან ზოგიერთი „მზრუნველი“ მშობლის მიერ გახერხებული „ავადმყოფობის“ ცნობა (რა თქმა უნდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა) მხედველობაში არ მიიღება, აქ ყველა მოსწავლისთვის შერჩეულია შესაბამისი ვარჯიშები და თამაშობანი.

მოდით, ყველამ გავიხსენოთ ფიზკულტურის გაკვეთილებზე არაერთხელ წუწუნით ნათქვამი — მაპატიეთ, პატივცემულო მასწავლებელო, დამავიწყდა ფიზკულტურის გაკვეთილი რომ გვქონდა, ფორმა არ წამომიღია (ან დამრჩა) და გთხოვთ, გამათავისუფლოთ. ისიც გახსოვთ, ალბათ, რამდენი ცრუ ცნობას ამოფარებული მოსწავლე აკლდებოდა ფიზკულტურის გაკვეთილს, რომელსაც, სხვათა შორის, „სერიოზული“ საგნების მასწავლებლები ზოგჯერ დამატებით გაკვეთილად იყენებდნენ.

რა მოგვიტანა მოსწავლეთა ფიზაღზრდისადმი ასეთმა აგდებულმა დამოკიდებულებამ, ყველასათვის ნათელია — წონამომატებული გოგონები 20 სანტიმეტრზე ვერ ხტებიან, ბიჭებს ღერძზე მიზიდვა უჭირთ. სპორტულ სექციებში იკლო ფიზიკურად კარგად განვითარებული ბავშვების კონტინგენტმა.. აი, უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების დროს კი ყველას აქვს ბეჭედდასმული და „უტყუარი“ ჯანმრთელობის ცნობა, რომელიც ...სულ მალე კარგავს თავის ძალას თუ აბიტურიენტი სტუდენტი გახდა — რა დასამალია და, ხდება ხოლმე: ჯანმრთელობის ცნობა ავადმყოფობის საბუთით იცვლება და უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურის გაკვეთილებიც სკოლისას ემსგავსება...

ამ სკოლაში, საბედნიეროდ, ასე არაა...

11 საათი და 30 წუთია... გაისმის ნანატრი შესვენების ზარი... კიდევ რამდენიმე წუთი და სპორტულ ფორმაში გამოწყობილი მოსწავლეებით ივსება სკოლის ეზო, ფორმა დამავიწყდა, გაკვეთილი თუ გვქონდა არ ვიცოდიო, არავინ ამბობს, რადგან აქ ყოველდღე ტარდება ფიზკულტურის გაკვეთილი... რადიომიმღებში მხიარული საბავშვო სიმღერები ისმის, შემდეგ, როცა ეზო მოსწავლეებით ივსება, „ეთერში გადის“ ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი ნოდარ ზვიადაძე.

გამამხნევებელ ვარჯიშებს სპორტული თამაშობები ცვლის — გოგონები რგოლებს ატრიალებენ, ბიჭები ფეხბურთს, კალათბურთს, ლახ-



ტსა და „გრძელ ვირს“ თამაშობენ. ფიზკულტურის მასწავლებლები სპორტულ ფორმაში არიან და ყველა კუთხე-კუნჭულში ასწრებენ მისვლას, თვალყურს ადევნებენ თამაშით გართულ ონავრებს... ეჯიბრება კლასი — კლასს, ყოჩობენ ბიჭები და თავს იწონებენ გოგონები... გოგო-ბიჭების მხიარული ჟრიამულით ივსება ქუთაისის ძველთაძველი უბანი...

ასეა ყოველდღე და ასე იზრდება ის თაობა, რომელსაც ჩვენ 21-ე საუკუნის საქართველოს იმედს ვუწოდებთ.

მოვუსმინოთ ნოდარ ზვიადაძეს:

— მოსწავლეთა ჯანმრთელობის გაკაჟების მიზნით, განათლების სამინისტროს კოლეგიის 1987 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე, მიმდინარე წლის იანვრიდან ერთ ცვლაში მომუშავე რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, იქ, სადაც საამისო პირობებია, შემოღებული უნდა ყოფილიყო ყოველდღიური „ჯანმრთელობის საათი“.

სკოლის ხელმძღვანელობამ, პედაგოგიურმა და ფიზკულტურულმა საბჭოებმა ერთობლივად შეიმუშავეს „ჯანმრთელობის საათის“ ჩატარების განრიგი, დრო, ვარჯიშებისა და თამაშების კომპლექსები. კლასები აღვჭურვეთ სავარჯიშო და სათამაშო ინვენტარით. საერთო ძალისხმევით ყველა საკითხი დროულად გადაიჭრა და აი, უკვე მეოთხე თვეა ჩვენთან სისტემატურად ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიში და „ჯანმრთელობის საათი“, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა და მის გარეშე სკოლის მუშაობა წარმოუდგენლად გვეჩვენება. რაც მთავარია, ეს სიახლე მოსწავლეებმა შეიყვარეს და თავის ყოველდღიური ცხოვრების ნორმად აქციეს.

ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ ქალაქის აკრობატთა, ტყვიის მსროლელთა, ფრენბურთელთა, მოფარიკავეთა და სხვა სახეობათა ნაკრებ გუნდებში იმატა ჩვენი სკოლის წარმომადგენელთა რაოდენობამ.

ცხადია, მოსწავლეთა ჯანმრთელობის გაკაჟება დადებითად მოქმედებს მათ გონებრივ განვითარებაზე — ამ თვალსაზრისითაც ჩვენი სკოლა მოწინავეთა რიგებში დგას.

● ● ●

ფიზკულტურის მასწავლებელს ეჩქარება — 11 საათი და 30 წუთია. მალე დარეკავს დიდი შესვენების ზარი, ეზო გოგო-ბიჭებით აივსება, კვლავ დაარღვევს ქუთაისის ძველი უბნის მყუდროებას რადიოშეძახილი — „ჯანმრთელობისთვის, სიმხნევისთვის, ცოდნისთვის, სწორდით!“

**თამაზ ხარაბაძე.**
(„ლელოს“ საკ..კორესპონდენტი).
ქუთაისი.

ოთარ ბერეჩიკიძის ფოტო.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

გთავაზობთ სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის X ტურის ტექნიკურ მონაცემებს.

**„სპარტაკი“ — „დინამო“ (თბილისი) 3:0 (2:0).** გოლები: შმაროვი, მოსტოვოი, როდიონოვი.

გუნდების შემადგენლობანი: „სპარტაკი“ — დასაევი, სუროვი, კაპუსტინი, ხიდიატულინი, ბუბნოვი, მოსტოვოი, შალიმოვი, ივანოვი, შმაროვი, ჩერენკოვი, როდიონოვი; „დინამო“ — გაბელია, თეთრაძე, თევზაძე, ჭედია, არზიანი, ტყებუჩავა (გ. ჯიშკარიანი, 46), სვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია, გურული (კორძაძე, 66), შენგელია.

დუბლიორები — 1:0.

**„დინამო“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ 1:1 (0:0).** გოლები: ბოროდიუკი („დინამო“), სმოლიანინოვი („შახტიორი“).

გააფრთხილეს დინამოელთა მეკარე ხარინი.

დუბლიორები — 0:0.

**„ტორპედო“ — „დინამო“ (მინსკი) 1:0 (1:0).** გოლი: გრიშინი.

გააფრთხილეს მინსკელი ფეხბურთელები ალეინიკოვი და იანუშევსკი.

დუბლიორები — 2:1.

**„მეტალისტი“ — „ლოკომოტივი“ 1:0 (0:0).** გოლი: ტარასოვი.

გააფრთხილეს „მეტალისტის“ ფეხბურთელი დერკაჩი.

დუბლიორები — 0:0.

**„კაირატი“ — „ჟალგირისი“ 1:2 (1:2).** ანგარიში ალმაათელმა ფეხლევანიდიმ გახსნა, შემდეგ კი ბარანაუსკასმა და ნარბეკოვასმა დააწინაურეს „ჟალგირისი“.

დუბლიორები — 0:5.

**„დინამო“ (კიევი) — „ზენიტი“ 2:0 (0:0).** გოლები: ბელანოვი, პროტასოვი.

დუბლიორები — 2:0.

**„დნეპრი“ — „ნეფთჩი“ 3:2 (2:2).** გოლები: შოხი, ჩერედნიკი, ბაგმუტი („დნეპრი“), პონომარიოვი, აჰმედოვი („ნეფთჩი“).

გააფრთხილეს ბაქოელი ფედოროვსკი.

დუბლიორები — 0:0.

**„ჩერნომორეცი“ — „არარატი“ 2:1 (2:0).** გოლები: შჩერბაკოვი, პერეპადენკო („ჩერნომორეცი“), სარქისიანი („არარატი“).

გააფრთხილეს ერევნელი ფეხბურთელები სარქისიანი და ენგიბარიანი, აგრეთვე, ოდესელი პერეპადენკო.

დუბლიორები — 1:0.

● **სსრ კავშირის** 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებიდან დღემდე ჩატარებულ 77 მატჩს დაესწრო 2.048.840 მაყურებელი.

● **განვლილ** ტურში სულ გაიტანეს 20 ბურთი, აქედან 14 — მასპინძლებმა და 6 — სტუმრებმა. საერთოდ, ტური აღინიშნა მასპინძელთა დიდი უპირატესობით: მათ მოიგეს 6 თამაში, მხოლოდ ერთი წააგეს და ერთიც ფრედ დაამთავრეს.

● **ბომბარდირთა** შორის კვლავ წინაა თბილისის დინამოელი გ. გურული, რომელმაც 8 ბურთი გაიტანა. 7 გოლით მეორე ადგილზეა ლენინგრადელი ს. დმიტრიევი, 6-6 ბურთი გაიტანეს მოსკოვის დინამოელმა ა. ბოროდიუკმა და კიეველმა ო. პროტასოვმა.

● **6 ტურია** თამაში არ მოუგიათ დონეცკის „შახტიორს“ და მინსკის „დინამოს“.

● **ვილნიუსის** „ჟალგირისმა“ თავისი არსებობის ისტორიაში შარშან პირველად მოიპოვა მესამე ადგილი. წლეულს ვილნიუსელ ფეხბურთელებს, ეტყობა, განზრახული აქვთ გააუმჯობესონ თავიანთი მაჩვენებელი.

● **ყველაზე** მეტი ბურთი გაიტანეს ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელებმა — 20. ყველაზე მეტი გოლი გაუშვა „კაირატმა“ — 16.

● **წინა** წლებთან შედარებით წლეულს მსაჯობა შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ რეციდივები მაინც არის, ამას კი ჯერჯერობით სრული პრინციპულობით ვერ ებრძვის მსაჯთა საკავშირო კოლეგია. მაგალითად, ვ. აზგოლცმა (ალმაათა) აშკარა შეცდომებით ჩაატარა I ლიგის მატჩი ტიუმენის „გეოლოგსა“ და რიგის „დაუგავას“ შორის, მას კი დისკვალიფიკაცია მისცეს მხოლოდ პირველი წრის დასასრულამდე. და ეს მაშინ, როცა ვ. აზგოლცს ბოლო წლებში სისტემატურად აქვს სერიოზული ხასიათის შეცდომები.

## საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ჭადრაკში

# სატურნირო ეკვატორი

**მოჭადრაკე ვაჟთა 48-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის VI ტურის შედეგების განხილვამდე თვალი გადავავლოთ სატურნირო მდგომარეობას განვლილი 5 ტურის შემდეგ.**

კარგად თამაშობენ და ჯერჯერობით დაუმარცხებლად მიიწევენ წინ რესპუბლიკის 1982 წლის ჩემპიონი ოსტატი გია გიორგაძე, ოსტატი თამაზ კიკიანი და გასული წლის რესპუბლიკის ჩემპიონატის მესამე



პრიზიორი ბესიკ ხეცურიანი. აქვე უნდა ითქვას, რომ ხეცურიანს თუმცა არც ერთი პარტია არ წაუგია, მაგრამ არც გამარჯვება მოუპოვებია, ყველა ორთაბრძოლა ყაიმით დაამთავრა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატების თამაზ ტაბატაძისა და ხვიჩა სუპატაშვილის კარგი თამაში.

ტაბატაძემ მხოლოდ ერთი პარტია წააგო. სამაგიეროდ სძლია ოთხ მოჭადრაკეს, მათ შორის საერთაშორისო დიდოსტატ ბუხუტი გურგენიძესა და გია ბაღათუროვს. სუპატაშვილს (VI ტურის ჩათვლით) ჯერჯერობით სამი ქულა აქვს (1 მოგება, 4 ყაიმი, 1 წაგება), მაგრამ ყაიმებით დამთავრებულ პარტიებში ალბათ შეეძლო უფრო მაღალი შედეგისთვის მიეღწია.

სამწუხაროდ, სუსტად თამაშობდნენ გოჩა ტყებუჩავა, გოჩა თორია, გივი გოგიჩაიშვილი, ზურაბ მიქაძე და იგორ ეფიმოვი, თუმცა, ყველაფერი ჯერ არ არის დაკარგული და, იმედია დარჩენილ 7 ტურში ისინი გამოასწორებენ მდგომარეობას...

VI ტურში საინტერესო გამოდგა ბესიკ ხეცურიანისა და ხვიჩა სუპატაშვილის შეხვედრა. თეთრებმა მცირე პოზიციური უპირატესობა მიიღეს, მაგრამ სუპატაშვილმა თანდათანობით შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. მალე ფიგურები გაიცვალა და მე-19 სვლაზე მეტოქეები დაზავდნენ. აქვე ვიტყვით, რომ ხვიჩა სუპატაშვილი და იგორ ეფიმოვი თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ V ტურის გადადებულ პარტიაში.

ოსტატმა გია გიორგაძემ შავი ფიგურებით დაამარცხა ოსტატობის კანდიდატი გივი გოგიჩაიშვილი.

ამ ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ტყებუჩავა-თორია — 0,5:0,5, ბაღათუროვი-გურგენიძე — 1:0, ჩაჩიბაია-კიკიანი — 1:0, გადაიდო ეფიმოვ-ზაიჩიკის პარტია, ხოლო ტაბატაძე-მიქაძის შეხვედრა გადატანილია.

ამრიგად, 6 ტურის, ასე ვთქვათ, სატურნირო ეკვატორის გავლის შემდეგ, ლიდერობენ: გია გიორგაძე — 4,5 (1), თამაზ ტაბატაძე — 4 (1), გია ბაღათუროვი — 3 (1), ბუხუტი გურგენიძე, თამაზ კიკიანი (ყველა — თბილისი), ხვიჩა სუპატაშვილი, ბესიკ ხეცურიანი (ორივე — ქუთაისი) — 3-3.

**ვასილ ვაშაკიძე.**

# ექვსენ ფინალის ადგილს

იტალია გაცხოველებით ემზადება 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩასატარებლად, აქ ამას წინათ იმყოფებოდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის საკონტროლო კომისია, რომელმაც კმაყოფილება გამოთქვა წარმოებული მუშაობით. მაგრამ, თურმე, იტალიაში ჯერ კიდევ არ იციან სად ჩატარდება ჩემპიონატის ფინალური მატჩი. ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტმა ჰ. ნოიბერგერმა აქ მოწყობილ პრესკონფერენციაზე ოფიციალურად განაცხადა, [illegible] მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის ჩატარების ადგილი ჯერჯერობით „ვაკანტურია“.

ჰ. ნოიბერგერმა აღნიშნა, რომ რომის ცნობილი „ოლიმპიკო“ ამჟამად არ პასუხობს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნებს, ვინაიდან სტადიონს არა აქვს 80 ათასი დასაჯდომი ადგილი და, გარდა ამისა, საგანგებო გადასახურავიც. „ოლიმპიკოს“ თაობაზე იტალიაში ბოლო ორი წელია მწვავე დისპუტია გაჩაღებული, მაგრამ სარეკონსტრუქციო სამუშაოები მხოლოდ ახლა იწყება. ყველაფერი ამის გამო გამორიცხული არაა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი მატჩი მოეწყოს იტალიის „ჩრდილოეთის დედაქალაქში“ მილანში. ამის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას 29 ივნისს მიიღებენ ციურიხში.

აღნიშნულ პრესკონფერენციაზე ფიფა-ს ხელმძღვანელობას მრავალი შეკითხვით მიმართეს ტრანსპორტის, ტურისტთა სხვადასხვა მომსახურების, სასტუმროებში არსებული ადგილების შესახებ. გამოვლინდა ისიც, რომ იტალიის ქალაქებში საკმარისი რაოდენობით არ არის ავტომობილებისა და ავტობუსების სადგომი ადგილები, საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა ნაკლებად რეგულირებულია, ეს კი ხელს შეუშლის მსოფლიო ჩემპიონატის ნორმალურად ჩატარებას.

უყურადღებოდ არც ის ფაქტი დარჩენილა, რომ იტალიის სტადიონებზე ხშირად ხდება ძალმომრეობა და ხულიგნობა. მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა, აგრეთვე, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობამ დამსწრეთ აღუთქვეს მაყურებელთა და შეჯიბრების მონაწილეთა უსაფრთხოება მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში.

# ინგლისური ფეხბურთი პრობლემათა წინაშე

**ევროპის** საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის ამასწინანდელ სხდომაზე დაადგინა, რომ კონტინენტის საკლუბო ტურნირების მატჩებში გუნდებს უფლება ექნებათ თითოეულ თამაშში მინდორზე გამოიყვანონ არაუმეტეს 4 უცხოელი მოთამაშე. ეს წესი ძალაში შევა 1990-91 წლების სეზონიდან.

ახალმა კანონმა განსაკუთრებული რეაქცია გამოიწვია ინგლისში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ ქვეყნის კლუბებს ჯერ კიდევ აკრძალული აქვთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის გათამაშებებში მონაწილეობა ამ რამდენიმე წლის წინ მიღებული მკაცრი სანქციების შემდეგ და, მიუხედავად ამისა, სწორედ ინგლისის პროფესიული კლუბების ხელმძღვანელები პირველნი აცხადებენ პროტესტს უეფა-ს აღმასკომის ამ გადაწყვეტილების თაობაზე.

რა მოხდა? რა არის ინგლისელ ფეხბურთის მესვეურთა აღშფოთების მიზეზი?

უეფა-ს აღმასკომის ახალი დადგენილება, როგორც ვთქვით, ძალაში შევა 1990-91 წლების სეზონიდან, ინგლისელებს კი იმედი აქვთ, რომ იმ დროისთვის ეს აკრძალვა მათ მოეხსნებათ და სწორედ მაშინ მათი პროფესიული კლუბები იმ უსიამოვნო ფაქტის წინაშე დადგებიან, რომ ევროპის საკლუბო ტურნირებში ვერ გამოიყვანენ ოთხზე მეტ უცხოელ ფეხბურთელს. ეს კი ნიშნავს, რომ ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში ველარ ითამაშებენ შოტლანდიელები, უელსელები, ან ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთელები. ასეთები კი მრავლად არიან ინგლისის კლუბებში.



ლონდონის „ტაიმსი“ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ინგლისის საფეხბურთო წრეებისათვის ეს ნამდვილი უბედურება იქნება, რომლის მასშტაბები ახლა წარმოუდგენელიცაა. მაგალითად, „ლივერპულს“, რომელმაც 1986 წელს ინგლისის თასი მოიპოვა, ფინალურ მატჩში მინდორზე არ გამოუყვანია არც ერთი „საკუთარი“, ე. ი. ინგლისელი ფეხბურთელი, მაშინ გუნდის შემადგენლობაში თამაშობდა 4 შოტლანდიელი, 3 ირლანდიელი და თითოც უელსელი, ავსტრალიელი, დანიელი და ზიმბაბველი ფეხბურთელი.

უეფა-ს ხელმძღვანელობის ერთ-ერთმა წევრმა ჟან ჟატენბაინმა განაცხადა, რომ თუ ინგლისელთათვის ამ პუნქტში რამე შეღავათი არ გაითვალისწინეს, საქმე ცუდად წავა.

— ინგლისურ ფეხბურთში ასეთი ვითარება დიდი ხანია შეიქმნა და ამ ისტორიული წესის შეცვლა მისთვის ძალზე ძნელი იქნება, — თქვა მან. — მაგრამ ესაა ჩემი პირადი აზრი. უეფა-ს კი, შესაძლოა, სხვა შეხედულება აქვს.

ინგლისური გაზეთები იმასაც აღნიშნავენ, რომ უეფა-ს გადაწყვეტილება ფრიად უარყოფითად იმოქმედებს პორტუგალიის კლუბებზეც, სადაც ზოგიერთ მათგანში 6-7 უცხოელი ფეხბურთელი გამოდის.

უეფა-ს პრეზიდენტმა ჟაკ ჟორჟმა განაცხადა, რომ ინგლისის კლუბების ევროპულ ტურნირებში მონაწილეობის საკითხს განიხილავენ ივნისის დასასრულს, მას შემდეგ, რაც დამთავრდება ევროპის 1988 წლის ჩემპიონატი. მან ისიც აღნიშნა, რომ ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებენ ინგლისის ასოციაციისა და საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელები, აგრეთვე, დიდი ბრიტანეთის სპორტის საქმეთა სახელმწიფო მინისტრი კოლინ მოინიჰენი.

ივნისის დასასრულამდე ბევრი დრო აღარ დარჩა. საინტერესოა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის ხელმძღვანელობა?

# მასპინძელთა უპირატესობით

ქუთაისის სპორტკომბინატის ხელოვნურსაფარიან მოედანზე დამთავრდა საქართველოს პირველობა ბალახის ჰოკეიში 1970-71 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა და გოგონათა გუნდებს შორის.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო — მათ დამაჯერებლად დაამარცხეს თბილისის (9:0), ბათუმის (10:1) და ლანჩხუთის (6:0) გუნდები და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილისთვის გამართულ მატჩში ბათუმელებმა ანგარიშით 1:0 სძლიეს ლანჩხუთელებს. რაც შეეხება თბილისის გუნდს, მან ერთნაირი ანგარიშით — 0:1 წააგო შეხვედრები ბათუმისა და ლანჩხუთის კოლექტივებთან და ბოლო ადგილზე გავიდა.

გამარჯვებული გუნდის (მწვრთნელი ჯ. კერესელიძე) შემადგენლობაში გამოდიოდნენ: მ. ესებუა, ხ. არველაძე, კ. სვანაძე, დ. გეგუჩაძე, ა. გიგატაძე, გ. ქართველიშვილი, გ. ჩარკვიანი, ა. ფჩელნიკოვი, რ. წიქორიძე, გ. დათიაშვილი, ბ. გოგოლაშვილი, მ. კობახიძე, გ. არველაძე და კ. ცქიფურიშვილი.

საუკეთესო ბომბარდირის პრიზი ქუთაისელმა გ. არველაძემ დაისაკუთრა — 9 ბურთი.

გოგონათა ტურნირშიც ქუთაისელებმა იყოჩაღეს. მასპინძლებმა დიდი ანგარიშით — 6:0 და 4:0 დაამარცხეს ბათუმის და ლანჩხუთის კოლექტივები. მეორე ადგილზე ბათუმელები გავიდნენ, რომლებმაც ლანჩხუთელები დაამარცხეს — 2:0.

გამარჯვებულთა (მწვრთნელი ა. თედორაძე) ღირსებას იცავდნენ: თ. ივანეიშვილი, ნ. თედორაძე, მ. მამარდაშვილი, ი. ბურჯანაძე, ლ. კავთელაშვილი (იგი ტურნირის ბომბარდირი გახდა 5 გატანილი ბურთით), ხ. მელაძე, ჯ. ცხადაძე, ე. კილაძე, ფ. მამარდაშვილი, მ. ჭახარეიშვილი, ხ. ქერდიკაშვილი, ი. სვანაძე, თ. აბაშიძე, ქ. კანკაძე, დ. ფარცხალაძე და მ. დათიაშვილი.

**თამაზ კოლხიდელი,**
**„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.**

# ამჯერად მესამე იყო

**მაისის** პირველ დღეებში ზაგრებისა და ლიუბლიანის ქუჩებში იმართება ტრადიციული საერთაშორისო კროსები, რომლებიც ფაშიზმის უღლისაგან იუგოსლავიის განთავისუფლებას ეძღვნება. ისევე როგორც შარშან, წლევანდელ შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ საქართველოს მძლეოსნებიც. ზაგრების გარბენში 5400-მეტრიან დისტანციაზე მესამე ადგილი დაიკავა თბილისელმა ოლეგ სტრიჟაკოვმა — 15.02,5. ფინიშთან პირველი იყო „კეთილი ნების თამაშების“ ჩემპიონი, ბულგარელი ევგენი იგნატოვი — 14.55,1. ლიუბლიანაში გამართულ შეჯიბრებაში სტრიჟაკოვი VI ადგილზე გავიდა. შეგახსენებთ, რომ შარშან მან ორივე გარბენში გაიმარჯვა.



# ჩემპიონია ჯ. ბერიშვილი

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში, რომელშიც 14 უძლიერესი მოშაშე მონაწილეობდა.

შეჯიბრებაში თავიდანვე დაწინაურდა ჯუმბერ ბერიშვილი, რუსთაველი ოსტატობის კანდიდატი, ჭადრაკის სასახლის უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი თენგიზ რეხვიაშვილი და ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული არტურ გოიხმანი 4 შესაძლებლიდან 3,5-3,5 ქულით. მაგრამ შემდეგ გოიხმანმა „სიჩქარეს უკლო" ზედიზედ ოთხი ყაიმი გააკეთა, რითაც ისარგებლეს ლიდერებმა და საგრძნობლად ჩამოიტოვეს იგი. რამოდენიმე ტურის განმავლობაში ლიდერებს კვალში მიჰყვებოდა თამაზ ქეთიშვილი, თუმცა ტურნირის ეკვატორზე შეფერხდა ავადმყოფობის გამო და ჩემპიონობისთვის ბრძოლა ვეღარ შეძლო.

ცუდი სტარტის შემდეგ (4 შესაძლებლიდან 1,5 ქულა) სპესივცევმა ფინიშზე ზედიზედ რვა პარტია მოიგო, მაგრამ დანაკარგის ანაზღაურება ვეღარ შეძლო და საბოლოოდ 10 ქულით არტურ გოიხმანთან ერთად III-IV ადგილები გაიყო. უკეთესი კოეფიციენტის გამო III ადგილი წილად ხვდა არტურ გოიხმანს. რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი კი ისევე როგორც შარშან, დამსახურებულად მოიპოვა ოსტატმა ჯუმბერ ბერიშვილმა. მან 10 პარტია მოიგო, 3 ყაიმით დამთავრა და საბოლოოდ 11,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე 10,5 ქულით გავიდა თენგიზ რეხვიაშვილი.

I-II ადგილებზე გასული მოშაშეები მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო შესარჩევ ტურნირში.

**ვასილ ვაშალომიძე.**

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

# პირველი ეტაპის ფინიშთან

**დამთავრდა** კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველი ეტაპი — შეხვედრები ქვეჯგუფებში. მართალია, ჯერ კიდევ დარჩა ჩასატარებელი რამდენიმე გამოტოვებული მატჩი, მაგრამ იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც გააგრძელებენ ბრძოლას საპრიზო ადგილებისთვის, უკვე ცნობილია. ესენია, პირველი ჯგუფიდან: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. მეორე ჯგუფში უმაღლეს დონეზე ბრძოლის უფლება მოიპოვეს: თბილისის „სინათლემ", საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა და სოხუმმა.

როგორც ხედავთ შარშანდელთან შედარებით დიდი ცვლილება არ მომხდარა. ერთადერთი სიახლე ის გახლავთ, რომ „მართვეს" ადგილი ფინალისტთა შორის ქუთაისის გუნდმა დაიკავა.

ახლა, გათამაშების მომდევნო ეტაპზე, პირველი ჯგუფის სამი პრიზიორი მეორე ჯგუფის პრიზორებთან ორ-ორ შეხვედრას ჩაატარებს და ამრიგად გამოვლინდება ექვსი უძლიერესი კოლექტივი, რომლებიც ჩემპიონატის მესამე ეტაპზე სუპერფინალურ მატჩებში ითამაშებენ.

ჯერჯერობით კი, რამდენიმე სიტყვა ბოლო ტურების შეხვედრებზე.

**პირველი ჯგუფი.** ტურისა და ალბათ მთელი ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელთა ორთაბრძოლა იყო. ორ შეხვედრაში მეტოქეებმა ქულები ფაქტიურად გაიყვეს. სწორედ ამიტომ სატურნირო ცხრილში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. თუმცა, ის კი უნდა ითქვას, რომ ორთავე შეხვედრა საინტერესო და დაძაბული ბრძოლით აღინიშნა.

პირველში უპირატესობას ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლები ფლობდნენ (ამ დღეს ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი სწორედ ინსტიტუტელთა მოთამაშე მწვრთნელი ლიპარტელიანი გახლდათ, რომელმაც თავის კოლექტივს 28 ქულა შესძინა), რომლებმაც ტაიმი 5 ქულის სხვაობით მოიგეს (50:45), შეხვედრა კი 18 ქულით (107:89).

მეორე მატჩში, უფრო სწორად კი მის პირველ ნახევარში მეტოქეებმა როლები გაცვალეს. ტაიმი უნივერსიტეტელებმა 9 ქულით მოიგეს — 52:43. მართალია, მეორე ნახევარში ინსტიტუტის სტუდენტებმა გამოასწორეს მდგომარეობა, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. საბოლოოდ გამარჯვება უნივერსიტეტის გუნდს დარჩა — 100:99. ამ დღის საუკეთესო სნაიპერი უნი-



ვერსიტეტელი ... გახლდათ — 29 ქულა.

მძაფრი ბრძოლით აღინიშნა ბათუმისა და ქუთაისის კოლექტივების ორივე შეხვედრა, მაგრამ პირველმა მატჩმა ასე თუ ისე მშვიდობიანად ჩაიარა და წარმატება ქუთაისელებს მოუტანა—79:72 (45:32).

განმეორებით მატჩში უდისციპლინობისთვის მოედნიდან გააძევეს ბათუმელთა გუნდის წევრი მეტრეველი. ბრძოლა ამჯერად უფრო დაძაბული იყო და ქუთაისის კოლექტივმა მხოლოდ ერთქულიან უპირატესობას მიაღწია 86:85 (38:46).

**მეორე ჯგუფი.** უკომპრომისო ბრძოლა გაიმართა ჯგუფის ლიდერების „სინათლისა" და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა ორთაბრძოლაში. პირველი მატჩი სტუდენტებმა მოიგეს 97:83 (47:45), მეორე კი „სინათლემ" — 92:86 (49:43). ორივე მატჩის მიხედვით ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო სტუდენტთა კოლექტივის წევრი გეგეშიძე, რომელმაც გუნდს 56 ქულა შესძინა.

## ჭაბუკთა ტურნირზე

ფორმალურად ჭაბუკთა რესპუბლიკური ტურნირის პირველი ეტაპიც დამთავრდა, მაგრამ გამოტოვებულ შეხვედრათა რაოდენობა აქ გაცილებით მეტია, ამიტომ გუნდების სატურნირო მდგომარეობას მოგვიანებით გაგაცნობთ, როცა სურათი უფრო გამოიკვეთება.

ამჯერად კი ტექნიკურ შედეგებს გთავაზობთ: **ბათუმი — ქუთაისი** 66:44 (35:22) და 75:63 (39:24).

**უნივერსიტეტი** (თბილისი) — **ფიზკულტურის ინსტიტუტი** (თბილისი) 102:50 (56:26) და 66:42 (35:17).

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი** (თბილისი) — **„სინათლე"**, (თბილისი) 66:42 (38:23) და 68:46 (42:26).

# საიმედო წარმატებები

**ყოველ წელს**, გაზაფხულის დადგომისთანავე, დოსააფის ავტომოტოსპორტის რესპუბლიკური სპორტულ-ტექნიკური კლუბის ბაზაზე ინტენსიური, სისხლსავსე სპორტული ცხოვრება იწყება. ასეა ამჯერადაც. საბჭოთა კავშირის პირველობას წრიულ ავტორბოლებში რალისტთა რესპუბლიკური პირველობა მოჰყვა, შემდეგ გაიმართა საკავშირო პირველობის ზონალური ასპარეზობა მოტოკროსში, სპიდვეიში... რიგშია რალისტთა საკავშირო პირველობა, კარტინგისტების სხვადასხვა რანგის შეჯიბრებები, და ასე გაგრძელდება გვიან შემოდგომამდე. ასეთმა მჭიდრო კალენდარმა გარკვეული სიძნელეების წინაშე დააყენა ბაზის ხელმძღვანელობა (უფროსი ლ. ხუტორიანი), მაგრამ მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველა ასპარეზობა საკმაოდ მაღალ სპორტულ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა.

თავი არც სპორტსმენებს შეურცხვენიათ. დიდი ხნის „შესვენების" შემდეგ, საკავშირო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე გუნდური მეხუთე ადგილი დაიკავეს ავტომრბოლეებმა, საგრძნობი უპირატესობით გაიმარჯვეს ასეთივე რანგის ასპარეზობაში მოტოკროსმენებმაც. თა-



ვისი პირველი მატჩი ჩაატარა წლევანდელ სეზონში რსტკ-ის სპიდვეისტთა გუნდმა „არწივმა", რომელმაც სევასტოპოლის „ვოლნა" მიიღო სტუმრად. ორდღიანი დაძაბული ასპარეზობა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა წარმატებით დამთავრდა. გუნდურ შეჯიბრებაში მათ ოთხი ქულით (56:52) დაამარცხეს მეტოქეები, პირად ასპარეზობაში კი პირველი (ნუგზარ სადგობელაშვილი) და მესამე (ბადრი ლომაშვილი) ადგილები დაიკავეს. შემდეგ შეხვედრას „არწივი" კვლავ შინ გამართავს 21-22 მაისს ერევნელ სპიდვეისტებთან. როგორც თავად სპორტსმენები და მათი მწვრთნელი თემურ ნოზაძე თვლიან, ბრძოლა დაძაბული და საინტერესო იქნება.

წარმატებით დაიწყეს სპორტული სეზონი კარტინგისტებმაც. ქალაქ ტოლიატში, სადაც გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული ასპარეზობა ჩატარდა, საქართველოს წარმომადგენლებმა გუნდური პირველი და ხუთი საპრიზო, აქედან სამი პირველი (ირაკლი კარკუზაშვილი, ზაზა ტურიაშვილი, გიორგი ადეიშვილი) ადგილი დაიკავეს.

ერთი სიტყვით, ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენების სტარტი წლევანდელ შეჯიბრებებში წარმატებული გამოდგა და, იმედია, არც შემდგომში დათმობენ თავიანთ პოზიციებს.

**გიორგი ქორქია.**

## ცელეცაიკა-მკითხველი

**ბოკა-რეტონი** (აშშ, ფლორიდას შტატი). წყალში მხტომელთა საერთაშორისო ტურნირის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია გახლდათ ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ამერიკელი გრეგ ლუგანისის დამარცხება სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. როგორც ცნობილია, ლუგანისი წინა დღეს დაშავდა, მაგრამ იგი მაინც გამოვიდა საასპარეზოდ და მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა (696,42 ქულა). გამარჯვება კი ჩინელმა ტან ლიანდემ მოიპოვა „დიდოსტატური" შედეგით — 712,29. მოსკოველ სერგეი ლომანოვსკის მეათე შედეგი ჰქონდა — 545,04 ქულა, კიეველ ვალერი სტაცენკოს კი მეთორმეტე — 522,15 ქულა.

**პარიზი.** აქ გამართული საერთაშორისო მარათონი პორტუგალიელმა სტაიერებმა მოიგეს. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო მანუელ მატეიაში — 2:13.53, ქალებში — აურორა კუნია — 2:34.55.

**პეკინი.** ჩინეთისა და იაპონიის ფრენბურთელმა ქალებმა ორი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს. პირველი მასპინძლებმა მოიგეს, მეორე — სტუმრებმა. ორივე შეხვედრაში ანგარიში იყო 3:1.

**ლოს-ანჯელესი.** მსოფლიოს ჩემპიონმა და რეკორდსმენმა მძლეოსნურ შვიდჭიდში ჯეკი ჯოინერ-კირსიმ (აშშ) მისთვის უცხო სახეობაში — 400 მეტრზე თარჯრბენში სცადა ძალა და მიმდინარე წლის საუკეთესო შედეგი აჩვენა — 55,74.

**ლისაბონი.** აქ გაიმართა ჭაბუკ ფრენბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა სპოტსმენებმა. მათ დაამარცხეს პორტუგალიის, ისრაელის, ესპანეთის ფრენბურთელები და ფინალურ შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება მიიღეს.

**იუჯინი (აშშ).** ორეგონის შტატის ამ ქალაქში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში დიდი ხნის შესვენების შემდეგ გამოვიდა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის ორი ოქროს მედლის მფლობელი მერი დეკერ-სლეინი და გაიმარჯვა 1500 მეტრზე რბენაში — 4.09,14.

წარსულიდან

# ნიკოლოზ ბარათაშვილი და კრივი

**ნიკოლოზ ბარათაშვილი** გიმნაზიაში სწავლის დროს თბილისში ძალზე პოპულარული იყო კრივი. პოეტის ბიძა გრიგოლ ორბელიანი, დიდი მოყვარული გახლდათ ამ სანახაობისა. მეგობრობდა სახელოვან მოკრივე ლოპიანასთან და ლექსიც მიუძღვნა მას. კრივით გატაცებული იყო მოსწავლე ახალგაზრდობაც. ზაქარია ჭიჭინაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის სკოლის ამხანაგის, მირიან ჭყონიას შვილის ილია ჭყონიას გადმოცემით (იხ. ქ. ბალახაშვილი — „ნ. ბარათაშვილი") თბილისის პირველი გიმნაზიის მოწაფეები კვირაობით გადიოდნენ პანსიონის კედლებს გარეთ და მონაწილეობდნენ ორთაჭალის ბაღებში გამართულ კრივში. ერთხელ მირიან ჭყონიას დაუნახავს, რომ სასწავლებლის გრძელ დერეფანში ყმაწვილები ჩხუბობდნენ. ბრძოლაში ჩაბმულ ტატოსათვის რომ მოუკრავს თვალი, მიშველება დაუპირებია, მაგრამ შეყოვნებულა, რადგან შეუნიშნავს, მიუხედავად იმისა რომ ეს ორი ჭეელი ერთმანეთს მუშტებს უშენდნენ, არც ერთი არ ბრაზდებოდა. მოკრივე ახალგაზრდა, რომელსაც თვალი მოუკრავს მირიანისათვის, განზე გამდგარა და მეტოქე ტატოსთვის უთქვამს, მოდი ახლა ამ გურულს ეჩხუბეო. მირიანს კრივი არ სცოდნია და სილების ქნევა დაუწყია. მის გაშლილ ხელს მუშტი შემოხვდა და ნეკი ჩაუხლიჩა. მირიანი ექიმთან წაუყვანიათ. ტატოს უთქვამს: — მაპატიე, არ ვიცოდი თუ თქვენში კრივი არ იცოდნენ, თორემ ასე უცებ არ შეგიტევდიო.

— არც მე ვიცოდი ქალაქში თუ ცემას სწავლობდნენ, თორემ აქ რა ჩამომიყვანდაო, მიუგია მირიანს.— კრივი ცემა როდია, ეგ თამაშია, ოღონდ ამ თამაშს აკი გითხარ, ცონდა უნდა-მეთქი. ერთიც ეგ არის თამაშს წესი აგეთია, თუ მოგხვდა, კიდეც უნდა აიტანო. მოკრივეს წუწუნი და დაჩივლება არ შეჰფერისო, ღიმილით უპასუხნია ტატოს.

ამ ცნობას ვურთავთ თბილისელი მხატვრის, ვანო ხოჯაბეგოვის ნახატს „კრივი ორთაჭალაში", სადაც, როგორც ირკვევა, მონაწილეობდა ხოლმე ტატო ბარათაშვილი.



**ედიშერ გიორგაძე,**
**საქართველოს კრივის ფედერაციის პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**


**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05352